

## საქართველოს კანონი

### „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N26, 5.09.2003, მუხ. 195) მე-7 მუხლის 15-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### 1. მე-7 მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„15. ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის სახის მოკლელულიანი ცეცხლსასროლ იარაღის ან სპორტული სახის მოკლე ხრახნილულიანი ცეცხლსასროლ იარაღის შეძენის (შენახვის უფლებით) ნებართვა- 8 ლარი.“

#### 2. მე-7 მუხლის მე-15 პუნქტის შემდეგ დაემატოს 15<sup>1</sup>-15<sup>9</sup> პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„15<sup>1</sup>. ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის სახის გაზის (აირის) იარაღის, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული სახის გრძელულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა და სპორტული სახის მოკლე გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვა -6 ლარი.

15<sup>2</sup>. ამ მუხლის მე-15 პუნქტით გასაზღვრული სამოქალაქო სახის იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის აღება იმ პირების მიერ, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ შეუწარჩუნდათ იარაღის ტარების უფლება - 8 ლარი.

15<sup>3</sup>. იარაღის შეძენის (ტარების უფლებით) ნებართვა „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ-ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოსარგებლე პირზე სამსახურებრივ-საშტატო სტატუსით გადაცემული იარაღის შეძენის (ტარების უფლებით) ნებართვა - 16 ლარი.

15<sup>4</sup>. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის იარაღის შეძენის, აგრეთვე შეძენილი იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვა-8 ლარი.

15<sup>5</sup>. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვა-8 ლარი.

15<sup>6</sup>. იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნის ნებართვა:

ა) ფიზიკური პირისთვის – 6 ლარი;

ბ) იურიდიული პირისთვის – 12 ლარი;

15<sup>7</sup>. საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის(აირის) იარაღის, მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა) ნებართვა - 8 ლარი.

15<sup>8</sup>. ტირის, სასროლეთის, სასროლო სანადირო სტენდის გახსნის ნებართვა – 10 ლარი.

15<sup>9</sup>. შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულებების მერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა -16 ლარი.”.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*